



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 21

2018 წლის 6 თებერვალი

ხაშური



„ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე


საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის “საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1. შეტანილ იქნას ცვლილება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №16 დადგენილებაში „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge 23/01/2018, 270070000.35.143.016475) და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს ახალი დანართის სახით (თან ერთვის).

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2018 წლის 1 თებერვლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე



მიხეილ ჯანაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოსამსახურეთა სამტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

№	რანგი	თანამდებობა	სამტატო ერთეული	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)
		პოლიტიკური თანამდებობა		
1		საკრებულოს თავმჯდომარე	1	2800
2		საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1	1800
3		საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	1700
4		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	6	1700
5		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	7	1200
		აპარატი		
6	I რანგი	საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საკრებულოს აპარატის უფროსი	1	1300
7	III რანგი	საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი საჯარო თანამდებობის პირი – უფროსი სპეციალისტი	6	800